შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

დისტანციური სწავლების წესი

მუხლი 1 - ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი ადგენს სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის პროცედურებს.
2. წინამდებარე წესი გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, რომელიც გამოწვეულია პანდემიით/ეპიდემიით, სასწავლო პროცესში ჩართული პირთა ავადობით, დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობებით, პროფესიულ მასწავლებელთა დროებითი შრომისუუნარობით, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას; ამასთანავე, აღნიშნული გარემოებების არსებობისას, კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობაც შესაძლოა განხორციელდეს დისტანციურად.
3. დისტანციური სწავლება არის სწავლების ფორმა, როდესაც პროფესიული სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი ტრადიციულ აუდიტორიაში ფიზიკურად არ იმყოფება და რომელიც ხელმისაწვდომს ხდის სწავლას თუ ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან.
4. დისტანციური სწავლება შესაძლებელია შერეული/ჰიბრიდული ფორმით, რომელიც მიზნად ისახავს როგორც დისტანციური სწავლების, ასევე პირისპირ სწავლების კომბინაციის გამოყენებას.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დისტანციური სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგებზე გასვლას.
6. თითოეული პროგრამისათვის/მოდულისათვის დისტანციური სწავლების ფორმა, ასევე შედეგების დადასტურების ფორმა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
7. დისტანციური სწავლების დაწყების შესახებ პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხდება წინასწარ.
8. თუ პროფესიული სტუდენტი დისტანციური სწავლების პროცესში ტექნიკური პრობლემების გამო ვერ ახერხებს ჩართვას კოლეჯის მიერ შეთავაზებული ელექტრონული პლათფორმის გამოყენებით, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დავალების მიცემა/კონსულტირება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, მათ შორის: სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული მიმოწერა.
9. კოლეჯის მიერ დისტანციური სწავლების ორგანიზებისათვის არჩეულია Microsoft Teams პლათფორმა, რომელიც იძლევა საშუალებას სრულყოფილად განხორციელდეს როგორც სასწავლო პროცესი, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობა.
10. დისტანციური სწავლების პროცესის წარმართვის პერიოდში პროფესიულ სტუდენტთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა და კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2 - დისტანციური სწავლების დაგეგმვა

1. სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვის დროს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელძღვანელთან შეთანხმებით პროგრამის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე ადგენს განრიგს თითოეული მოდულისათვის.
2. დისტანციური სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.
3. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით: სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება დროის კონკრეტულ მონაკვეთში; ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთი და იმავე დროს არ ხორციელდება ანუ დროით არ არის შემოფარგლული.
4. დისტანციური სწავლების ხელმოსაწვდომობის მიზნით კოლეჯი შეიმუშავებს შერჩეული დისტანციური სწავლების პლათფორმის გამოყენების ინსტრუქციას/ვიდეოგზამკვლევს და უზრუნველყოფს მის გაცნობას დისტანციურ სწავლების რეჟიმში ჩართული პირებისთვის; ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს აღნიშნული პირების გადამზადებას და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით აღჭურვას.
5. დისტანციური სწავლების პროცესში, გარდა კოლეჯის მიერ შერჩეული პლათფორმისა, გამოიყენება ასევე სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები: იმეილი, აუდიო/ვიდეო კონფერენციები, მიმოწერა სოციალური ქსელის მეშვეობით და ა.შ.
6. დისტანციურ რეჟიმში სწავლების განხორციელების დროს კოლეჯის მიერ ხდება ყველა იმ პროგრამის/მოდულის იდენტიფიცირება, რომელთა ფარგლებშიც დისტანციური სწავლება უნდა განხორციელდეს.
7. დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვის დროს სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება დისტანციურად; სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლოა განხორციელდეს ასევე კოლეჯის ტერიტორიაზე.
8. დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვის დროს მიმდინარეობს ვიდეო/აუდიო ჩაწერა; ჩანაწერი სემესტრის ბოლოს იშლება/ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. კოლეჯი ვალდებულია დისტანციური სწავლების პროცესში უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსებზე პროფესიულ განათლების მასწავლებელთა/პროფესიულ სტუდენტთა შეუფერხებელი წვდომა; ამასთანავე, განახორციელოს იმ რესურსების გაციფრულება, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული ფორმატით და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს მათ.
10. კოლეჯი ვალდებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სისტემატიური რეკომენდაცია გაუწიოს სახლის პირობებში მეცადინეობის, საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსების გამოყენების შესახებ, ასევე მიიღოს უკუკავშირი.
11. კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს აწვდის წერილობითი ფორმით ინფორმაციას სასწავლო პროცესის დისტანციურად ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელების შესახებ, მათ შორის: მოდულის მეცადინეობის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის აუცილებელი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების შესახებ.

მუხლი 3 - დისტანციურ სწავლების რეჟიმში ჩართულ პირთა უფლება-მოვალეობანი

1. დისტანციური სწავლების მიმდინარეობა ექვემდებარება მონიტორინგს, რათა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დადგენილი გრაფიკის შესაბამისად წარმართვა, საჭიროების შემთხვევაში აღდგენების დაგეგმვა/ორგანიზება.
2. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია:
   ა) ორგანიზება გაუწიოს საგანმანთლებლო საქმიაონობას და გააკონტროლოს პროფესიული განათლების მასწავლების ან/და პროფესიულ სტუდენტის მხრიდან მათი შესრულება.
   ბ) განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება სწავლების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
   გ) განახორციელოს ზეპირი კომუნიკაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პროფესიულ სტუდენტებთან სწავლების პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით და კოლეჯის შესაბამის სამსახურებს მიაწოდოს ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისათვის.
   დ) გააკონტროლოს პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან სასწავლო გრაფიკის დაცვა და უფლება აქვს დაესწროს დისტანციურ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.
   ე) უზრუნველყოს დისტანციურ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:
   ა) განახორციელოს ლექციის ვიდეო/აუდიო ჩაწერა და ამასთანავე, პროფესიულ სტუდენტებს აცნობოს, რომ ხორციელდება დასწრების აღრიცხვა და ჩაწერა.
   ბ) სასწავლო მასალა პროფესიულ სტუდენტებს მიაწოდოს სინქრონული/ასინქრონული მეთოდის საშუალებით მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე.
   გ) დისტანციური ჩართვა განახორციელოს ლოკაციიდან, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისათვის დადგენილ სტანდარტების შესრულებას.
   დ) სასწავლო პროცესი წარმართოს და სწავლის შედეგების დადასტურება განახორციელოს სასწავლო ვადებით დადგენილ პერიოდში და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს.
   ე) დისტანციურ რეჟიმში სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში, მკაცრად გააკონტროლოს მიმდინარეობა, რათა პროფესიული სტუდენტის მხრიდან არ განხორციელდეს არაკეთილსინდისიერი ქმედება.
   ე) სასწავლო გრაფიკით განსაზღვრული დისტანციური ჩართვის არ/ვერ განხორციელების და შესაბამისი აღდგენის დაგეგმვის შემთხვევაში, შეატყობინოს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს წინასწარ, რათა მან განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება.
   ვ) უზრუნველყოს დისტანციურ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:
   ა) დისტანციური სწავლების პროცესში დროულად ჩაერთოს წინასწარ ცნობილი სასწავლო გრაფიკის შესაბამისად და იმოქმედოს ეთიკური ნორმების დაცვით.

ბ) დისტანციური სწავლების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს პროფესიული განათლების მასწავლებელსა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს; განსაკუთრებით, თუ საკითხი ეხება სწავლის შედეგის დისტანციურად დადასტურების შემთხვევას, რათა შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მენეჯერის მიერ განხორციელდეს სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების დანიშვნა.

გ) უზრუნველყოს დისტანციურ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4 – სწავლის შედეგის დადასტურება დისტანციურ რეჟიმში

1. სწავლის შედეგის დისტანციურ რეჟიმი დადასტურების დროს პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება დაწერონ გამოცდები შესაბამის პროგრამაში, სადაც მათ გამოცდის მსვლელობის დროს, ჩართული უნდა ჰქონდეთ ვიდეო კამერა; პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საგამოცდო საკითხების შედგენა უნდა განხორციელეს ისეთი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს კითხვების ტესტ ბანკის შედგენას და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მსგავსი კითხვების განმეორების ალბათობა.
2. შესაბამისი მოდულით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ სწავლის შედეგის დადასტურება ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოს, აღნიშნული უნდა განხორციელდეს პრაქტიკის განხორციელების ადგილზე.
3. შესაბამისი მოდულით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ სწავლის შედეგის დადასტურება ითვალისწინებს ზეპირ გამოცდას, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ოთახში იმყოფებოდეს მარტო და ვიდეო/აუდიო კამერა ჰქონდეს ჩართული.

მუხლი 5 – დასკვნითი დებულებები

1. სწავლების დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობის პროცესში, მასში ჩართული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ეთიკის ნორმები.
2. სწავლების დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობისას, გარდა წინამდებარე წესისა, მასში ჩართული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.
3. წინამდებარე წესში ცვლილების და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს ოქმის საფუძველზე.